

**სწავლების ცენტრის მიერ შეგუზავებული ტრენინგების კონცეფცია
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს
2018 წლის 13 მაისის შუალედური ანგარიშისთვის**

2018 წლის 13 მაისს ზუგდიდის მუნიციპალიტეტში გასამართ საკრებულოს შუალედურ არჩევნებზე პილოტურად გამოიყენება საარჩევნო ტექნოლოგიები, კერძოდ, კენჭისყრის დღეს ამომრჩეველი ხმას მისცემს ელექტრონული ხმის მიცემისა და დათვლის სპეციალური აპარატის საშუალებით. ელექტრორატისთვის კვალიფიციური მომსახურების განხორციელების მიზნით, მათ შორის, ახალი ტექნოლოგიის გამოყენებით კენჭისყრაში ამომრჩევლის მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, ცესკო და სწავლების ცენტრი №67.27 ცაიშის თემის ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში შემავალი საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის ჩაატარებს ტრენინგებს.

ტრენინგების სისტემა

I ეტაპი დაეთმობა საუბნო საარჩევნო კომისიის სრული შემადგენლობის (12 წევრი) სწავლებას. განხილულ იქნება შემდეგი ძირითადი სასწავლო მოდულები:

- ამომრჩეველთა სიები;
- კენჭისყრის შენობის მოწყობა, საარჩევნო დოკუმენტაცია და ინვენტარი;
- საარჩევნო უბნის გახსნა და კენჭისყრამდე ჩასატარებელი პროცედურები;
- საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა შორის წილისყრით გასანაწილებელი ფუნქციების (ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელი კომისიის წევრი; ამომრჩეველთა რეგისტრატორი კომისიის წევრი; სპეციალური ჩარჩო-კონვერტების ზედამხედველი კომისიის წევრი; გადასატანი საარჩევნო ყუთის წამლები კომისიის წევრი) შესრულება;
- საარჩევნო ყუთისა და ხმის მიცემის და დათვლის სპეციალური აპარატის ზედამხედველი კომისიის წევრის ფუნქციის შესრულება;
- პირველი ამომრჩევლის თანდასწრებით საარჩევნო ყუთების დალუქვა;
- საარჩევნო უბანზე ხმის მიცემის პროცესი (ამომრჩევლის მიერ საარჩევნო ბიულეტენის შევსების ახალი წესი და სპეციალური ჩარჩო-კონვერტის მეშვეობით საარჩევნო ბიულეტენის მოთავსება ხმის მიცემისა და დათვლის სპეციალური აპარატის გამოყენებით);
- ხმის მიცემის პროცესი გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით;
- შშმ ამომრჩევლების ჩართულობის ხელშეწყობის პოლიტიკა;
- საარჩევნო უბნის დახურვა;
- საარჩევნო ბიულეტენების დახარისხება და დათლა;
- საარჩევნო დოკუმენტაციის დალუქვა;
- კენჭისყრის შედეგების შეჯამება;
- კენჭისყრის დღის განცხადებები/საჩივრები.

განხორციელების პერიოდი: 9 მაისი, 2018 წელი.

II ეტაპი დაეთმობა საუბნო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელი პირების (თავმჯდომარე, მოადგილე, მდივანი) სწავლებას. განხილულ იქნება შემდეგი ძირითადი სასწავლო მოდულები:

- საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირების უფლებამოსილებები (მათ შორის, საარჩევნო დოკუმენტაციასთან მუშაობა, შემაჯამებელი ოქმის შედგენის წესი);
- საუბნო საარჩევნო კომისიის კომუნიკაცია საოლქო საარჩევნო კომისიასთან;
- ხმის მიცემისა და დათვლის სპეციალური აპარატის ფუნქციონირება;
- არჩევნების უსაფრთხოება;
- კენჭისყრის დღის განცხადებები/საჩივრები.

განხორციელების პერიოდი - 10 მაისი, 2018 წელი.

III ეტაპი დაეთმობა კენჭისყრის დღის ეპიზოდურ ინსცენირებას, რომლის ფარგლებში საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები განახორციელებენ კენჭისყრის დღის დილის 07:00 საათიდან - 08:00 საათამდე ჩასატარებელ პროცედურებს, ბიულეტენების დახარისხებისა და დათვლის პროცედურას, ასევე კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენის პრაქტიკული სავარჯიშოს.

განხორციელების პერიოდი - 11 მაისი, 2018 წელი.

საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა ტრენინგებს ასევე დაესწრებიან საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები.

სასწავლო მასალა და მეთოდოლოგია

საარჩევნო ადმინისტრაციის წევრთა პროცედურული ცოდნის გაღრმავების მიზნით, ტრენინგებისთვის შემუშავებული სასწავლო მასალა მოიცავს: სახელმძღვანელო ინსტრუქციებს, პრაქტიკული სავარჯიშოების კრებულებს, ელექტრონულ სასწავლო პროგრამას. ტრენინგზე გამოიყენება კომბინირებული მეთოდოლოგია (ვერბალური, პრაქტიკული, ინტერაქტიული და როლური).